ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7199215

ნომერი: AR11054452

თარიღი : 22.08.2024

გაცემის თარიღი : 30.08.2024

გაცნობის თარიღი : 31.08.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბარამიძე პ/ნ 01024010320
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2024 წლის 22 აგვისტოს №AR11054452 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 22 აგვისტოს №AR11054452 განცხადებით მომართა გიორგი ბარამიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 01 ივლისის

№7108310 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 01 ივლისის №7108310 ბრძანებით №01.72.14.037.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.
განცხადებელი ითხოვს ±0.000 და +2.460 ნიშნულების გეგმებზე ექსპლიკაციაში მიეთითოს ბინისა და ანტრესოლის ფართობები. ამასთან, ითხოვს საზაფხულო ფაღთობად 285.61 კვ.მ-ის ნაცვლად 284.12 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები მეტობითაა დაანგარიშებული.
განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
აღნიშნულის გათვალისწინებით შესწორდეს გეგმებზე საცხოვრებელი და საზაფხულო ფართის ფართობები გეგმებზე. ამასთან, დაზუსტდეს საცხოვრებელი, საზაფხულო და საერთო ფართობები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2024 წლის 01 ივლისის №7108310 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), დაზუსტებული საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2024 წლის 22 აგვისტოს №AR11054452 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.